ოქმი:**ო37. 3723123001**
თარიღი:**03/05/2023**

ოქმი # 9

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბიუროს მორიგი სხდომის

2023 წელი 2 მაისი

ქ. ოზურგეთი

17.00-17.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: *ტ.* აროშიძე, *ბ.* თოიძე, *გ.* ჩავლეშვილი, *დ.* ჭაკნელიძე, *პ.* კიღურაძე, ქ. ხომერიკი, მ. ჩხიკვიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე *დ. დარჩია* მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მათ მიაწოდა კვორუმზე ინფორმაცია, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 8 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

2. ქ. ოზურგეთში, ჭადრების პარკში(ს/*კ* 26.26.47), ბენია ჩხიკვიშვილის ბიუსტის განთავსების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელმა განაცხადა, რომ საკრებულოს წერილობით მომართა კომპანია „სან პეტროლეუმ ჯორჯიამ“ წერილობით, რომელშიც იგი ითხოვს ნებართვას საკუთარი ხარჯებით, ქ. ოზურგეთში, ჭადრების პარკში განათავსოს ცნობილი გურული პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, გურიის რესპუბლიკის პრეზიდენტის, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული

რესპუბლიკის სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე ნამუშევარი ისტორიული პიროვნების ბენია ჩხიკვიშვილის ბიუსტი, აღნიშნული მომართვა განიხილეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედმა კომისიებმა და მხარს უჭერენ ინიციატორის წინადადებას. ბიუროს წევრებმა იმსჯელეს და მათაც გაიზიარეს კომისიების აზრი, ამასთან მიზანშეწონილად მიიჩნიეს სათანადო დოკუმენტების მომზადება და არსებული კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს კულტურის სამინისტროსათვის გადაგზავნა შეთანხმების მიზნით.

3. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს დღის წესრიგში წარმოდგენილი N1 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვა- დამტკიცების მიზნით.

2. N 2 საკითხზე-მომზადდეს სათანადო დოკუმენტაცია და არსებული კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს კულტურის სამინისტროსათვის გადაგზავნა შეთანხმების მიზნით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე